RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ

ბენიამინ პოღოსიანი

157
ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბენიამინ პოლოსიანი

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ

157

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-3391-5

2020 წლის ყარაბაღის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკა. სომხეთმა განიცადა მძიმე მარცხი, ხოლო არცახის არაღიარებულმა რესპუბლიკამ (მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ) დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის 80 პროცენტი. აზერბაიჯანმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და მიიღო არა მხოლოდ ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (NKAR) ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიები, არამედ თავად ოლქის 30 პროცენტიც.

10 ნოემბრის სამმხრივმა ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და რუსეთმა, არა მხოლოდ შეაჩერა ომი ყარაბაღში, არამედ საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას რეგიონულ გეოპოლიტიკაში[1]. ახალი სტატუს-კვოს ძირითადი მახასიათებლებია რუსეთისა და თურქეთის გაზრდილი როლი და დასავლეთის ჩართულობის მნიშვნელოვნად შემცირება. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასია სტაბილურობისგან ჯერ კიდევ შორს არის და, სავარაუდოდ, ცვლილებები გაგრძელდება. ქვემოთ შევეცდებით გავაანალიზოთ ძირითადი რეგიონული და გარე აქტორების მთავარი ინტერესები და განვსაზღვროთ, რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

სომხეთი

2020 წლის ყარაბაღის ომში დამარცხებამ მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია სომხეთში. საზოგადოების ნაწილი მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს – ნიკოლ ფაშინიანს. ისინი ძირითადად ერთიანდებიან სომხეთის მეორე პრეზიდენტის – რობერტ ქოჩარიანის ირგვლივ, რომელიც 2018 წლის ხავერდოვანი რევოლუციისა და ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე დააპატიმრეს. 2021 წლის 25 აპრილს ფაშინიანი გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან. მან მიზეზად 2021 წლის ივნისში დაგეგმილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაასახელა, თუმცა არჩევნები ვერ გადაწყვეტს პოლიტიკურ კრიზისს და ვერ შეუწყობს ხელს სიტუაციის სტაბილიზებას[2].

ფაშინიანი განაგრძობს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებას და, სავარაუდოდ, ახალი პარლამენტი აღნიშნულ თანამდებობაზე ისევ მას აირჩევს, თუმცა ის დაკარგავს ამჟამინდელ საკონსტიტუციო უმრავლესობას. ამავდროულად, გაგრძელდება ბრძოლა მისი თანამდებობიდან გადაყენებისთვის. COVID-19-ის

პანდემიამ და ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა სომხეთის ეკონომიკა[3]. ქვეყნის მშპ შემცირდა, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა და საკვებ პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად გაიზარდა. არ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის სწრაფად დაძლევის პირდაპირი გზები, ამ ყველაფერმა კი შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნიდან ემიგრაციის ახალი ტალღა. შიდა პრობლემების გადაჭრის გარდა, სომხეთმა უნდა განსაზღვროს თავისი სტრატეგია მთიანი ყარაბაღის მიმართ. მოკლევადიან პერსპექტივაში ერევანს არ ძალუძს ამჟამინდელი სტატუს-კვოს შეცვლა. გრძელვადიან პერსპექტივაში (10-15 წელი) კი სტატუს-კვო აუცილებლად გამოიწვევს არცახის დაკარგვას. შესაბამისად, სომხეთმა უნდა მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება – შეინარჩუნოს სტატუს-კვო 5-7 წლით, თავი მოუყაროს რესურსებს და 10-15 წლის შემდეგ თავის სასარგებლოდ შეცვალოს ვითარება. ამის ალტერნატივაა არცახის დაკარგვასთან შეგუება, იქ მცხოვრები სომხების სომხეთში გადასახლების ორგანიზება და მთელი ძალისხმევის მიმართვა თავად სომხეთისკენ.

აზერბაიჯანი

ომის შედეგად, აზერბაიჯანმა უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. 2007 წლის შემდეგ ყარაბაღისთვის მოლაპარაკებები ეფუძნებოდა მადრიდის პრინციპებსა და ელემენტებს, რომლებიც ითვალისწინებდა ყარაბაღის საბოლოო სტატუსის განსაზღვრას იურიდიული ძალის მქონე ნების გამოხატვის გზით[4]. მიუხედავად ამისა, 10 ნოემბრის ხელშეკრულებაში არაფერია ნახსენები ყარაბაღის სტატუსის შესახებ, ილჰამ ალიევმა კი განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა სტატუსის საკითხი ისტორიის სანაგვეზე მოისროლა[5]. გასაოცარი მიღწევების მიუხედავად, აზერბაიჯანი იძულებული გახდა, დათანხმებოდა რუსი მშვიდობისმყოფელების განთავსებას ყარაბაღში.

10 ნოემბრის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ 5 წლის შემდეგ რუსი სამშვიდობოები დატოვებენ ყარაბაღს, თუ სომხეთი ან აზერბაიჯანი მოითხოვს მათ გაყვანას, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ რუსები არ გამოძებნიან მიზეზებს და ყარაბაღში უფრო დიდხანს არ დარჩებიან. აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ ასევე უნდა გამონახოს გზა, რომ გაუმკლავდეს თურქეთისა და რუსეთის როლის ზრდას. პრეზიდენტმა ალიევმა საჯაროდ გამოთქვა მადლიერება თურქეთის მიმართ ყარაბაღის ომში

განეული მხარდაჭერისთვის, თუმცა თურქეთის ზედმეტმა გავლენამ, შესაძლებელია, შიდა პრობლემები შეუქმნას ალიევს, ვინაიდან პროთურქულმა ძალებმა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენონ მისი ძალაუფლება. რუსეთს არ მოსწონს, რომ აზერბაიჯანი თურქული გავლენის ქვეშ ექცევა, ამიტომ ის შეეცდება ანკარის გავლენის დაბალანსებას აზერბაიჯანში. ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან აზერბაიჯანის დაახლოების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2020 წლის ყარაბაღის ომამდე დაიწყო, რაც, შესაძლოა, იმის ნიშანია, რომ რუსეთი ცდილობს აზერბაიჯანში თურქეთის პოზიციის გამყარების პრევენციას[6]. ბაქო განაგრძობს „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკას ყარაბაღში. ის არ მოაწყობს პროვოკაციებს რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ, თუმცა შეეცდება, რომ ბიძგი მისცეს სომეხი მოსახლეობის მასობრივ გასვლას ყარაბაღიდან. თუ იქ არ იქნებიან სომხები, არც რუს სამშვიდობოებს ექნებათ აზერბაიჯანში დარჩენის მიზეზი – შესაძლოა, სწორედ ამ ლოგიკით მოქმედებს აზერბაიჯანი.

საქართველო

2020 წლის ყარაბაღის ომში საქართველომ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა და ოფიციალურად ჩაკეტა თავისი სახმელეთო და საჰაერო საზღვრები სამხედრო ტვირთების ტრანზიტისთვის, როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის მიმართულებით, თუმცა სომხეთში არსებობდა მოსაზრება, რომ ომის განმავლობაში ყოველდღიურად სრულდებოდა სამოქალაქო ფრენები და სატვირთო თვითმფრინავებს გადაჰქონდათ იარაღი ისრაელიდან და თურქეთიდან აზერბაიჯანის მიმართულებით, საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით[7]. ეს ინფორმაცია დადასტურებული არაა, თუმცა მან საქართველოს მიმართ უარყოფითი განწყობა შექმნა სომხეთში. ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო თურქეთთან და აზერბაიჯანთან ყოველთვის უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე სომხეთთან. აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელი ყველა ძირითადი ტრანზიტული პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე გადის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა – თბილისს არ აქვს იმის მიზეზები, რომ საფრთხე შეუქმნას თავის სტრატეგიულ პარტნიორობას აზერბაიჯანთან ან თურქეთთან.

რუსი მშვიდობისმყოფელების განთავსებამ გარკვეული შეშფოთება გამოიწვია თბილისში, რადგან ეს რეგიონში რუსული გავლენის ზრდის ნიშანი იყო. აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს შორის კომუნიკაციის დაწყების პერსპექტივამ, შესაძლოა, შეამციროს საქართველოს, როგორც ერთადერთი ტრანზიტული ქვეყნის როლი, რომელიც სომხეთს აკავშირებს რუსეთთან, აზერბაიჯანს კი – თურქეთთან. თუმცაღა, ეს პროექტები სამ წელში დასრულდება და მათი განხორციელება არაა გარანტირებული, რეგიონში მზარდი არასტაბილურობიდან გამომდინარე.

რუსეთი

ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის პროცესში რუსეთის მთავარი მიზანი იყო რუსი მშვიდობისმყოფელების განთავსება მთიან ყარაბაღში. როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, რუსეთმა მონაწილეობა მიიღო მადრიდის დოკუმენტისა და იმ ძირითადი პრინციპების შემუშავებაში, რომლებიც ითვალისწინებდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსებას. თუმცა, 2015 წელს რუსეთმა წამოაყენა თავისი იდეა – ე.წ. ლავროვის გეგმა, რომელიც მადრიდის დოკუმენტის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი იყო[8]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესწორება ეხებოდა მშვიდობისმყოფელთა შემადგენლობას. მადრიდის დოკუმენტი ითვალისწინებდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას იმ ჯენტლმენური გარიგების საფუძველზე, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე სახელმწიფოები არ მიიღებდნენ მონაწილეობას სამშვიდობო მისიაში, ლავროვის გეგმა კი გულისხმობდა მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელების განთავსებას. ეს გეგმა არც სომხეთისთვის და არც აზერბაიჯანისთვის ბოლომდე მისაღები არ გამოდგა. მოლაპარაკებები გაგრძელდა 2020 წლის გაზაფხულამდე, შემდეგ კი სომხეთის ხელისუფლებამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ის უარყოფდა კონფლიქტის მოგვარების ყველა ვარიანტს, რომელიც შემოთავაზებული იყო 2018 წლის ხავერდოვან რევოლუციამდე[9]. 2020 წლის თებერვალში მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სომხეთის პრემიერ-მინისტრთან დებატების ფარგლებში, პრეზიდენტმა ალიევმა მიანიშნა, რომ აზერბაიჯანი მზად იყო განეხილა რუსეთის შეთავაზება ყარაბაღის შესახებ[10]. იმ ვითარებაში ერთადერთი გზა, რომლითაც რუსეთი შეძლებდა აეძულებინა სომხეთი, მიეღო ლავროვის გეგმა, იყო მხოლოდ ომი და სომხეთის სამხედრო მარცხი.

ამ ეტაპზე რუსეთი კმაყოფილია ყარაბაღის მეორე ომის შედეგებით. კრემლმა დააფუძნა დე ფაქტო რუსული სამხედრო ბაზა აზერბაიჯანში და საგრძნობლად გაზარდა თავისი გავლენა სომხეთზე. 2018 წლის მაისის შემდეგ სომხეთის ახალმა მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის ხელმძღვანელობით, რუსეთთან უფრო თანაბარუფლებიანი ურთიერთობის დამყარების სურვილი გამოთქვა[11]. თუმცა, ომის შედეგად, სომხეთი უფრო დამოკიდებული გახდა რუსეთზე, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა, 1991 წლის სექტემბერში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოყოლებული. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ახლახან გაამჟღავნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთის სამხედრო ბაზის საგუშაგო პოსტის დაარსებაზე სომხეთის სამხრეთ რაიონში, სიუნიკში[12]. ომის შემდეგ რუსი მესაზღვრეები განლაგდნენ სომხეთისა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებთან.

რუსეთი აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კავშირის დამყარებას, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული ქვეყნების გამოყენებას სატრანზიტო კვანძებად, რომელთა მეშვეობით ის დაუკავშირდება თურქეთს, ირანსა და უფრო ფართო ახლო აღმოსავლეთს. თუმცა, რუსეთს აშფოთებს თურქეთის მზარდი გავლენა სამხრეთ კავკასიაში. რეგიონში რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობის მიუხედავად, ანკარასა და მოსკოვს არაერთი ურთიერთსაპირისპირო ინტერესი აქვთ მსოფლიოს სხვა ნაწილებში – შავი ზღვის აუზში, სირიასა და ლიბიაში. თურქეთი რჩება ნატოს მნიშვნელოვან მოკავშირედ და ერდოღანის მმართველობის შემდგომ პერიოდში, შესაძლოა, უარი თქვას რუსეთსა და აშშ-ს შორის დაბალანსების პოლიტიკაზე და უფრო პროდასავლური პოლიტიკა გააგრძელოს.

კრემლს სურს ხელი შეუშალოს თურქეთის გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიაში. 2020 წლის ყარაბაღის ომამდეც კი თურქეთს უკვე ძლიერი პოზიციები ჰქონდა საქართველოსა და აზერბაიჯანში. ომმა მხოლოდ და მხოლოდ განამტკიცა თურქეთის გავლენა და ანკარა რუსეთის პოტენციურ მთავარ კონკურენტად აქცია. ამ თვალსაზრისით, სომხეთსა და მთიან ყარაბაღზე კონტროლის შენარჩუნება რუსეთისთვის რჩება კრიტიკულ ბერკეტად, რათა მან რეგიონში თურქეთის აღმასვლა შეაჩეროს. გასაკვირი არაა, რომ რუსი მესაზღვრეები გააკონტროლებენ აზერბაიჯანისა და ნახიჩევანის დამაკავშირებელ მარშრუტებს, რომლებიც გადის სიუნიკზე. სიუნიკში დე ფაქტო მეორე რუსული სამხედრო ბაზის დაარსება ზუსტად შეესაბამება რუსეთის რეგიონულ სტრატეგიას.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ ეფუძნებოდა სტრატეგიულ მიდგომას ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალი დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნების მიმართ. აშშ-ის მთავარი ამოცანა იყო სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა. უფრო უსაფრთხო, უფრო დემოკრატიული და უფრო განვითარებული სახელმწიფოები ნიშნავდა იმას, რომ ისინი ნაკლებად იქნებოდნენ რუსეთზე დამოკიდებული და ნაკლებად მოწყვლადი რუსეთის ჩარევისადმი. ამ ზოგადი სქემის გარდა, აშშ-ს აქვს ორი კონკრეტული მიზანი რეგიონში, კერძოდ, მსოფლიო ბაზრებზე კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტის ხელშეწყობა რუსეთის გვერდის ავლით და იმის უზრუნველყოფა, რომ ირანმა სამხრეთი კავკასია არ გამოიყენოს როგორც არხი, რომლის მეშვეობითაც თავს დააღწევს აშშ-ის მიერ დაწესებულ სანქციებს.

ამდენად, აშშ აქტიურად უჭერდა მხარს ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობას აზერბაიჯანიდან თურქეთამდე, საქართველოს გავლით, და იყო მთავარი დამფინანსებელი სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტისა, რომელმაც აზერბაიჯანული გაზის ევროპისთვის მიწოდება 2021 წლის იანვარში დაიწყო[13]. აშშ ძალიან ფრთხილობდა, რათა არ დაეშვა სამხრეთ კავკასიისა და ირანის ურთიერთობის გაღრმავება, თუმცა მხარს უჭერდა სომხეთ-ირანის შეზღუდულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, რადგან ეს სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების საშუალებად ესახებოდა.

რეგიონში აშშ-ის მთავარი მოკავშირე საქართველოა, რომელმაც ხელი მოაწერა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას აშშ-თან 2009 წლის იანვარში[14]. აშშ მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს; მან ხელი შეუწყო ნატო-საქართველოს ურთიერთობებს და მხარი დაუჭირა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას 2014 წელს. აზერბაიჯანის მნიშვნელობა აშშ-თვის ეფუძნება მის ნავთობისა და გაზის მარაგებს, საზღვრებს ირანთან და 20 მილიონამდე აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას, რომელიც აზერბაიჯანი-ირანის საზღვრის გასწვრივ ცხოვრობს. აშშ სომხეთს უმეტესად ისე აღიქვამდა, როგორც რუსეთის გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყანას, თუმცა ამერიკელმა სომხებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს აშშ-სომხეთის ურთიერთობების განმტკიცების ხელშეწყობაში.

საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის გამო აშშ შედარებით პასიური იყო ყარაბაღის მეორე ომის დროს, თუმცა მას ოქტომბრის ბოლოს ჰქონდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის უშედეგო მცდელობა. მიუხედავად ამისა, აშშ, სავარაუდოდ, შეეცდება სამხრეთ კავკასიაში თავისი ჩართულობის გაზრდას და რუსეთსა და თურქეთს არ მისცემს რეგიონში გაბატონების უფლებას. აშშ-მ მკაფიოდ გამოხატა უარყოფითი პოზიცია 3+3 ფორმატის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რუსეთი, თურქეთი და ირანი) დაარსების შესახებ, რადგან ეს მისთვის რეგიონიდან დასავლეთის განდევნის აშკარა მცდელობა იყო[15]. აშშ შეეცდება გამოიყენოს თავისი, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარის როლი, რათა უფრო აქტიურად ჩაერთოს ომის შემდგომი პროცესების განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად მინსკის ჯგუფის მომავალი ბუნდოვანია.

თურქეთი

2010-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული თურქეთის საგარეო პოლიტიკა სიმტკიცით გამოირჩეოდა. პრეზიდენტ ერდოღანს აქვს ხედვა, რომლის თანახმად, თურქეთი უნდა იქცეს მნიშვნელოვან რეგიონულ და, შესაძლოა, გლობალურ აქტორად. ამ თვალსაზრისით, თურქეთი სამხრეთ კავკასიას განიხილავს, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეგიონს, რომელსაც გამოიყენებს „სასტარტო პლატფორმად“ თავისი გავლენის გასავრცელებლად ცენტრალურ აზიასა და მის ფარგლებს მიღმა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთი ყოველთვის აზერბაიჯანს უჭერდა მხარს და გასაკვირიც არაა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყარაბაღის მეორე ომში. თურქეთი აზერბაიჯანს ეხმარებოდა თანამედროვე შეიარაღებით და სამხედრო მრჩევლებით. ათასობით აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა გაიარა წვრთნა თურქეთის სამხედრო უნივერსიტეტებში. აზერბაიჯანმა და თურქეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება ჩაატარეს უშუალოდ 2020 წლის ყარაბაღის ომამდე და, რამდენიმე წყაროს თანახმად, თურქეთმა სირიელი დაქირავებული მებრძოლებიც გაგზავნა ყარაბაღის მეორე ომში მონაწილეობისთვის[16].

თურქეთისთვის საუკეთესო სცენარი იქნებოდა ომში სომხეთის ტოტალური მარცხი და აზერბაიჯანის სრული კონტროლის დამყარება მთიან ყარაბაღში. ამ შემთხვევაში, რუსეთი ვერ შეძლებდა თავისი სამშვიდობოების განთავსებას ყარაბაღში. თუმ-

ცაღა, თურქეთი კმაყოფილია ომის შედეგით – აშკარა გახდა, რომ თურქეთს შეუძლია სტატუს-კვოს ცვლილების გამოწვევა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც აქამდე რუსეთის „უკანა ეზოდ“ აღიქმებოდა. აღდამის რაიონში, ახალ სასაზღვრო-საკონტროლო ხაზთან ახლოს, რუსეთ-თურქეთის მიერ ერთობლივი მონიტორინგის ცენტრის დაარსება არის ამ ქვეყნების სირიაში თანამშრომლობის მოდელის ასლი[17].

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში თურქეთი მხარს დაუჭერს მთიანი ყარაბაღიდან სომხების დარჩენილი ნაწილის განდევნის აზერბაიჯანულ პოლიტიკას და, შესაბამისად, შექმნის მყარ საფუძველს რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანისთვის. ამავდროულად, თურქეთი დაინტერესებულია სომხეთთან ურთიერთობის მოგვარებით და სომხეთში ინვესტიციების განხორციელებით. ეს უზრუნველყოფს თურქეთის ეკონომიკურ და, მოგვიანებით, პოლიტიკურ გავლენას სომხეთში და შეასუსტებს რუსეთის პოზიციებს. თურქეთი იქნება მთავარი აქტორი, რომელიც სამხრეთ კავკასიიდან რუსეთს გააძევებს და რეგიონს საკუთარ „უკანა ეზოდ“ აქცევს.

ირანი

ზოგადად, ირანი სამხრეთ კავკასიას უძველესი ირანული ცივილიზაციის ნაწილად აღიქვამს[18]. ამასთან, ირანის სასიცოცხლო ინტერესები უკავშირდება ახლო აღმოსავლეთს, სადაც თეირანმა შეძლო „შიიტური ნახევარმთვარის“ ჩამოყალიბება, რომელიც გადაჭიმულია ირანიდან ლიბანამდე და მოიცავს ერაყსა და სირიასაც. 2018 წლის მაისში პრეზიდენტ ტრამპის მიერ დაწყებულმა „მაქსიმალური წნეხის“ კამპანიამ ირანს რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე გავლენის მოხდენის საშუალება შეუზღუდა[19]. ყარაბაღის ძველი სტატუს-კვო აკმაყოფილებდა ირანს, ვინაიდან მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკა დამატებითი 135 კილომეტრით აშორებდა თურქეთს აზერბაიჯანისგან, ეს კი უფრო ურთულებდა თურქეთს თავისი პანთურქული იდეების გავრცელებას, რომლებსაც შეეძლოთ სეპარატიზმის პროვოცირება ირანის აზერბაიჯანულენოვან რაიონებში.

თუმცაღა, ეს არ ნიშნავს, რომ ირანი მზად იყო ომის დროს სომხეთის სამხედრო მხარდაჭერისთვის ან ირანელი ჯარისკაცების გაგზავნისთვის, რათა ხელი შეეშალა აზერბაიჯანის არმიის წინსვლისთვის მთიანი ყარაბაღი-ირანის საზღვარზე. ომის შემდეგ ირანი დაუკავშირდა როგორც სომხეთს, ისე აზერბაიჯანს. ერევანში ვიზი-

ტის ფარგლებში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სომხეთის ტერიტორიული მთლიანობა ირანისთვის წითელი ხაზია[20]. აზერბაიჯანში ვიზიტის დროს კი მან 2020 წლის ყარაბაღის ომის შედეგად აზერბაიჯანის მიერ შემოერთებული ტერიტორიების აღდგენაში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა. ირანის მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას სამხრეთ კავკასია „სასტარტო პლატფორმად“ გამოიყენონ ისრაელმა ან სხვა სახელმწიფოებმა ანტიირანული ქმედებების განსახორციელებლად. ირანს სტატუს-კვოს რადიკალური ცვლილების პრევენცია არ შეუძლია, ამიტომ ის ცდილობს ახალ სიტუაციასთან შეგუებას და რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვას აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან და თურქეთთან დიალოგის გზით.

დასკვნა

სამხრეთი კავკასია რჩება არამდგრად რეგიონად, სადაც იკვეთება არაერთი რეგიონული თუ გლობალური აქტორის ინტერესები. ვინაიდან მსოფლიო განაგრძობს ერთპოლუსიანიდან მრავალპოლუსიან სისტემაზე გადასვლას, რეგიონის მომავალი დამოკიდებულია აშშ-რუსეთის ურთიერთობის განვითარებაზე. თუ ახალი ადმინისტრაცია გააგრძელებს „ორმაგი შეკავების“ სტრატეგიას და ერთდროულად დაიწყებს ბრძოლას რუსეთთან და ჩინეთთან, მაშინ სამხრეთ კავკასია შესაძლოა გადაიქცეს ახალ ცხელ წერტილად აშშ-რუსეთის მეტოქეობაში. ამ სცენარის თანახმად, საქართველო-სომხეთის საზღვარი და კონტაქტის ახალი ხაზი ყარაბაღში შესაძლოა გახდეს ახალი გამყოფი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. თუ რუსეთი და აშშ შეძლებენ შეთანხმებამდე მისვლას, რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა განვითარდება რუსეთ-თურქეთის მეტოქეობის ირგვლივ, რომელშიც ირანი რუსეთს დაუჭერს მხარს. ამ სცენარით კი, რეგიონის მომავალი უფრო სტაბილური ჩანს – ანკარა და მოსკოვი უმეტესად ეკონომიკური მეტოქეები იქნებიან და სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით არ გადაკვეთენ ერთმანეთის „წითელ ხაზებს“.

გამოყენებული წყაროები:

1. Statement by the President of the Republic of Azerbaijan, the Prime Minister of the Republic of Armenia and the President of the Russian Federation, http://en.kremlin.ru/events/president/news/64384.
2. "Opinion: In Armenia's June Elections Kocharyan will Challenge Pashinyan in a Vote Largely Motivated by Hate," https://www.commonspace.eu/opinion/opinion-armenias-june-elections-kocharian-will-challenge-pashinyan-vote-largely-motivated.
3. "Armenia's economy shrank by 7.6 percent in 2020". See: http://arka.am/en/news/economy/armenia_s_economy_in_2020_shrank_by_7_6_percent_/.
4. "Statement by the OSCE Minsk Group Co-Chair Countries", https://www.osce.org/mg/51152.
5. "Azerbaijani President Sent Issue of Nagorno-Karabakh Status to the 'Dustbin of History,'" https://ednews.net/en/news/politics/448535-azerbaijani-president-sent-issue-of-nagorno-karabakh-status-to-dustbin-of-history.
6. "Ten Reasons Why Joining the EAEU Could be Beneficial for Azerbaijan," https://russiancouncil.ru/en/blogs/GreaterEurasiaEnglish/ten-reasons-why-joining-the-eaeu-could-be-beneficial-for-azerbaijan/.
7. "Azerbaijan Using Civilian Aircraft for Cargo Runs from Turkey and Israel via Georgian Airspace," https://hetq.am/en/article/122525.
8. Richard Hoagland: "'Lavrov Plan' on Karabakh Peace not backed by Conflicting Sides 'as yet.'" https://artsakhpress.am/eng/news/101829/richard-hoagland-%E2%80%98lavrov-plan%E2%80%99-on-karabakh-peace-not-backed-by-conflicting-sides-%E2%80%98as-yet%E2%80%99.html.
9. "Yerevan Says 'Phased' Option to Karabakh Peace 'Unacceptable,'" https://asbarez.com/193780/yerevan-says-phased-option-to-karabakh-peace-unacceptable.
10. "Nikol Pashinyan and Ilham Aliyev Hold Public Debate in Munich," https://www.youtube.com/watch?v=u_V2cafAhug.
11. "Deciphering Armenia-Russia Relations after the 'Velvet Revolution,'" http://neweasterneurope.eu/2019/07/09/deciphering-armenia-russia-relations-after-the-velvet-revolution/.
12. "Alliance with Russia 'Key to Armenia's Security,'" https://www.azatutyun.am/amp/31203958.html.
13. "The United States Strongly Supports the Southern Gas Corridor Project," https://www.caspianpolicy.org/the-united-states-strongly-supports-the-southern-gas-corridor-project/
14. "United States-Georgia Charter on Strategic Partnership", https://www.state.gov/united-states-georgia-charter-on-strategic-partnership/.

15. “Testimony by Deputy Assistant Secretary George Kent”, https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/032321_Kent_Testimony.pdf.

16. “France Accuses Turkey of Sending Syrian Jihadists to Nagorno-Karabakh,” https://www.reuters.com/article/us-armenia-azerbaijan-putin-macron-idUSKBN26L3SB.

17. “Russia and Turkey Open Monitoring Centre for Nagorno-Karabakh,” https://www.reuters.com/article/uk-armenia-azerbaijan-monitoring-centre-idUSKBN29Z0FL.

18. “Iran-South Caucasus. Current Stage and Perspectives of Relations,” https://cacds.org.ua/?p=7460&fbclid=IwAR1A00Rb8ykJMIWzN6nekeCoT-byktYHdQuYUQ9oyuJwt0Yx3N9mIPggH3Q.

19. “How to Fix the ‘Maximum Pressure’ Campaign on Iran,” https://www.atlanticcouncil.org/blogs/iransource/how-to-fix-the-maximum-pressure-campaign-on-iran/.

20. “Armenia’s Territorial Integrity is Our Red Line’ – Iranian FM Says in Yerevan,” https://armenpress.am/eng/news/1041595.html.